დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ
შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნიკა ჯიაძე

წევრები: გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ გეგმიური
- ☐ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N 1442088 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა - ნიკა ჯიაძე (თავმჯდომარე) და გიორგი ნაჭყეპია (დარგის ექსპერტი) დაგეგმეს და განახორციელეს ვიზიტი შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დაწესებულებაში, წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 20 იანვარს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, გაანალიზა დაწესებულების განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ადგილზე გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებს.

ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში არ დაფიქსირებულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	18.02.2021 N037 - დამტკიცება 15.12.2021 N372 - ცვლილება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	---
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	შეესაბამება	შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N 589552 გადაწყვეტილებით კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები განსაზღვრული აქვს 90 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 90 პროფესიული სტუდენტი. განაცხადით, დაწესებულება ითხოვს აღნიშნული რაოდენობის გაზრდას 90 სტუდენტით, რაც მთლიანობაში შეადგენს 180 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით 180 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტზე წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ, მის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამაზე ადგილების რაოდენობის ზრდის შესაძლებლობას იძლევა: 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №MES 0200001245119 ბრძანებით, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამა 2021 წლიდან პრიორიტეტულად განისაზღვრა და დაფინანსდა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2. მიმდინარე წელს, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ მისაღებ ადგილებზე მაღალი დაინტერესება, რაც განპირობებულია პროფესიის პრიორიტეტითა და პროფესიულ განათლებასთან ერთად ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაჩენით.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ მე-5 თავის (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია) შესაბამისად, რაც გულისხმობს სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის საკმარისობას.

დაწესებულება, აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, უზრუნველყოფს 6 სასწავლო აუდიტორიას შემდეგი მონაცემებით:

- A გარემო - #201 სასწავლო გარემო - 60 სტუდენტი
- A გარემო - #202 სასწავლო გარემო - 34 სტუდენტი
- A გარემო - #203 სასწავლო გარემო - 30 სტუდენტი
- B გარემო - #121 – 30 სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- B გარემო - #301 – 30 სტუდენტი
- C გარემო - #117/119 – 25 სტუდენტი

A სასწავლო გარემო - აკადემიის მიერ შერჩეულია აუდიტორია №201, №202 და №203. აუდიტორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს შესაბამისად 60-ს, 34-ს და 30-ს. აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის.

ბ) B სასწავლო გარემო - აკადემიის მიერ შერჩეულია აუდიტორია №121 და №301. აუდიტორიებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 60-ს. აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).

გ) C სასწავლო გარემო - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია, აუდიტორია №117/119. ლაბორატორია აღჭურვილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობით და აღემატება ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის მოთხოვნილ სარეკომენდაციო რესურსის ნუსხას ქიმიური და ბიოლოგიური კომპონენტის ფარგლებში. ლაბორატორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 25- ს.

შესაბამისად, A და B სასწავლო გარემოს შეფასებით, დაწესებულების საერთო გამტარუნარიანობა შეადგენს 1920 პროფესიულ სტუდენტს. აკადემიის არსებული კვოტა სხვა პროგრამების ფარგლებში შეადგენს 780 პროფესიულ სტუდენტს. აქედან გამომდინარე თავისუფალი რესურსი 1140 პროფესიული სტუდენტის მიღების საშუალებას იძლევა.

<u>აღსანიშნავია B გარემოში თანამედროვე მძლავრი კომპიუტერებით აღჭურვილობა, ცისკოს ტექნოლოგიების გამოყენება და უხვი კომპიუტერული რესურსი და ხელსაწყოები, რასაც პრაქტიკაში სტუდენტები გამოიყენებენ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული პროგრამისათვის C სასწავლო გარემოს (ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია) გამტარუნარიანობა შეადგენს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 180 პროფესიულ სტუდენტს. ხოლო სხვა პროგრამის ფარგლებში, რომელშიც გამოყენებულია C სასწავლო გარემო, კვოტა შეადგენს 190 პროფესიულ სტუდენტს. თავისუფალი რესურსი 310 პროფესიული სტუდენტის მიღების საშუალებას იძლევა.

„კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“ არ საჭიროებს საწარმოო პრაქტიკას.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

„კომპიუტერული ქსელები და სისტემების“ პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების და სასწავლო გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 29-ე მუხლი „საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპების“ შესახებ არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას შემდეგნაირად: პუნქტი 2. „კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ათმაგ ოდენობას“.

დაწესებულებას ჯამში ჰყავს 46 მასწავლებელი, მათ შორის 11 - საერთო სავალდებულო და პროფესიული მოდულები (3 წლის განმავლობაში 16 მოდული, სულ 80 კრედიტი), 35 - ზოგადი მოდულების (მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მოიცავს საკონტაქტო საათებს, მეცადინეობისათვის მომზადებას და საორგანიზაციო ტიპის დატვირთვას, შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობას, სტუდენტთა ნაშრომების შეფასებას და სხვ., რაც მათთან დადებულ ხელშეკრულებაში და შინაგანაწესშია ასახული. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია:

დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებით ადამიანური რესურსების შესახებ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ განხორციელებისთვის შერჩეულ პირები, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირები, შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათი უფლება-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებში შესაბამის მუხლებში. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების აქტივობებს, რომელთა დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სერტიფიკატები წარმოდგენილი იქნა ვიზიტის დროს. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს კოლეჯის ორგანიზებით ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი:

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა. „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია პროგრამის ხელძღვანელის უფლება-მოვალეობები. ასევე, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებში, SBA REG -010 - 15.5 პუნქტი შეეხება პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სამსახურში მიღების წესსა და მის ფუნქციებს. ხელმძღვანელი წარმოადგენს დარგის მოქმედ ექსპერტს. ინტერვიუს დროს ხელმძღვანელმა ისაუბრა მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც მდგომარეობს პროგრამის შემუშავება, დანერგვა, განხორციელებაში; პროგრამაში ცვლილების ინიცირებაში; სასწავლო რესურსის განახლებაში; ასევე გასაუბრებისას წარმოჩინდა მისი პროფესიონალიზმი, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და მზაობა პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, თვალნათელი იყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, იგი კონსულტაციებს უწევს პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს, ზრუნავს პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე, მონაწილეობს შეფასების სისტემის ვალიდაციაში და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას. გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულ პირს გააჩნია დარგის შესაბამისი კომპეტენცია და არის IT Essential (CISCO)-ის სერტიფიცირებული სპეციალისტი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში:

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომობის დასამტკიცებლად, ბიბლიოთეკაში, სადაც ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით (მათ შორის CD დისკებზე), ასვე ელექტრონული (რაც ასევე გაწერილია მოდულებში) სახით. ელექტრონული სახით ყველა სასწავლო რესურსი ჩატვირთულია პროგრამა Mircorosft Teams-ში, რომლის გამოყენებაც სტუდენტს თავისი ანგარიშით ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეუძლია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული წიგნების კატალოგი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებ. გვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს ასევე სამკითხველო დარბაზი სტუდენტებისათვის, სადაც განთავსებულია ოთხი კომპიუტერი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად:

აკადემიის სასწავლო პროცესის წესის თანახმად, - მუხლი 6 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი. აკადემიაში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებია: ა) სპეციალისტის მოწვევა; ბ) ხმის აღწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენება (სმენადაქვეითებული პირებისათვის) გ) საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა დ) აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა ე) სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა ვ) ადმინისტრაციული მხარდაჭერა ზ) სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით. ასევე, გასაუბრებისას ხაზი გაესვა დაწესებულების მჭიდრო თანამშრომლობას მის ერთ-ერთ დამფუძნებელთან „საქართველოს უსინათლოთა კავშირთან“. გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწესებულებას აქვს მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტის სწავლების გამოცდილება.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ პროგრამისათვის შემუშავებული ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამა მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებითა და ასევე სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურით. დაწესებულების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის საფასურის, ვაუჩერული დაფინანსებისა და სხვა სახის შემოსავლებისგან, ხოლო ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ზედნადები ხარჯები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

27.01.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: